აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

26 აპრილი, 2018

დადგენილება №85(17/18)
სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მოცულობის შესახებ
აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის #75(10/11) დადგენილებში
ცვლილების შეტანის შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მოცულობის შესახებ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის №75(10/11) დადგენილება შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

დანართი

სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მოცულობის განსაზღვრის წესი

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი არ უნდა იყოს 120 კრედიტზე ნაკლები.

სასწავლო კომპონენტების სარეკომენდაციო ჩამონათვალი განისაზღვროს შემდეგი სახით:

№	სასწავლო კომპონენტის დასახელება
1.	დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდები
2.	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები
3.	პედაგოგიური პრაქტიკა
4.	სემინარი(ები)
5.	სასწავლო (დარგობრივი) კურსები

სამეცნიერო სემინარის ძირითადი მიზანია სადოქტორო დისერტაციის მომზადების ტექნოლოგიის ათვისება-სრულყოფა და დისერტაციის დაცვის პროცესისათვის მომზადება. აღნიშნული მიზნის მიღწევის პროცესში წყდება შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის არეალის გაფართოება;
- დარგის ინოვაციური კვლევის მეთოდოლოგიის დამოუკიდებლად დაგეგმვა და სრულყოფა;
- სემინარის თემის კრიტიკული გააზრება და ინოვაციური მეთოდებით დამუშავება;
- პრეზენტაციის უნარის და დისპუტის ხელოვნების განვითარება-სრულყოფა;
- დამოუკიდებელი და ჯგუფში მუშაობის უნარის განვითარება-სრულყოფა;
- გამოსაქვეყნებლად სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება რეფერირებადი ჟურნალისათვის, აუცილებელი სტანდარტის დონეზე.

დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სხვა პირობები დგინდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი – საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილების შესაბამისად.

უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი – უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური სადჭოს სპეციალური დადგენილების შესაბამისად.

დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია კოლოკვიუმი. კოლოკვიუმი წარმოადგენს დოქტორანტის კვლევის შედეგების პრეზენტაციას, დოქტორანტის საქმიანობის სფეროში ახალი სამეცნიერო მიღწევების, პრობლემების, ლიტერატურის შეფასება-განხილვას, რასაც მოჰყვება სამეცნიერო დისკუსია. დოქტორანტი ვალდებულია სწავლების მეორე და მესამე წელს არანაკლებ ორჯერ მაინც ჩააბაროს კოლოკვიუმი, მასთან სწავლების მეორე წელს არაუმეტეს ერთი კოლოკვიუმისა. კოლოკვიმის შესაფასებლად გამოიყოფა ერთი ან ორი რეცენზენტი, მათი დადებთი რეცენზიის შემთხვევაში გამოიყოფა კომისია არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრის შემადგენლობით. კომისიის თითოეული წევრი კოლოკვიუმს აფასებს ან დადებითად ან უარყოფითად. კოლოკვიუმი ითვლება შესრულებულად, თუ მას დადებითად შეაფასებს კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.